დანართი N1

მეცნიერების პოპულარიზაციის მიმართულებით ქართული დიასპორის მოსწავლეებისთვის კონკურსის
დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერების პოპულარიზაციის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ქართული დიასპორის მოსწავლეებისათვის კონკურსის (შემდგომში – ,,კონკურსი“) მიზანია, ხელი შეუწყოს საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ მოსწავლე-ახალგაზრდებში ქართული მეცნიერების პოპულარიზაციას, მის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და ქართული ენის ცოდნის განმტკიცებას. კონკურსი მათ დააახლოებს ქართულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცესთან.

2. კონკურსის ფარგლებში განსაზღვრულია ქართული ანბანის შესახებ ესეებისა და ვიდეორგოლების კონკურსის წესით შეფასება და თითოეულ ნომინაციაში საუკეთესო ნაშრომების (როგორც ესეს, ისე ვიდეორგოლის) გამოვლენა.

3. კონკურსის შედეგი იქნება ქართული დიასპორის მოსწავლე-ახალგაზრდების უფრო მეტად დაახლოება ქართულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცესთან.

მუხლი 2. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის ორგანიზატორია, კონკურსს ატარებს და მის სრულ ადმინისტრირებას ახორციელებს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი (შემდგომში – ,,ინსტიტუტი“). კონკურსი ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერების პოპულარიზაციის პროგრამის ფარგლებში.

2. გამარჯვებული ნამუშევრები გამოვლინდება ღია და საჯაროდ გამოცხადებული კონკურსის გზით.

3. ინსტიტუტი უზრუნველყოფს:

ა) კონკურსის გამოცხადების მოსამზადებელ სამუშაოებს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) კონკურსის წინამდებარე დებულებით მოცემული პირობების შემუშავებასა და დასამტკიცებლად წარდგენას;

გ) კონკურსის ჩატარების დებულების და კონკურსის გამოცხადებას შესაბამისი განცხადების საჯაროდ განთავსების (არანაკლებ უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე) გზით;

დ) წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საკონკურსო ნამუშევრების შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას;

ე) საკონკურსო ნამუშევრების შეფასების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნას (შემდეგში - „კომისია“);

ვ) საკონკურსო ნამუშევრების შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურების ადმინისტრირებას;

ზ) გამარჯვებული საკონკურსო ესეებისა და ვიდეორგოლების გამოვლენასა და ავტორთა დაჯილდოებას;

თ) კონკურსის დასაწყის ეტაპზე ტრენინგის ჩატარებას ქართული ანბანის შესახებ.

4. არ განიხილება ნამუშევრები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 3. სუბიექტები

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ 10-17 წლის ახალგაზრდებს - უცხოეთის ქართული დიასპორის წარმომადგენლებს, რომლებიც საზღვარგარეთის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში იღებენ განათლებას.

2. ერთ კონკურსანტს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ ერთ ნომინაციაში.

მუხლი 4. კონკურსის განხორციელების ვადები

1. კონკურსი განხორციელდება შემდეგი ვადების დაცვით:

ა) კონკურსის გამოცხადება: 2021 წლის 10 ნოემბერი;

ბ) საკონკურსო განაცხადებისა და ნაშრომების მიღება: 2021 წლის 11 ნოემბრიდან 2021 წლის 30 ნოემბრის 18:00 საათამდე (საქართველოს დროით) შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: contact.icege@gmail.com

გ) ტრენინგის ჩატარება – 14 ნოემბერი, 12 საათი (საქართველოს დროით);

დ) საკონკურსო კომისიის მიერ საკონკურსო ნამუშევრების განხილვა-შეფასება და გამარჯვებულების გამოვლენა: 2021 წლის 1 დეკემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით;

ე) საუკეთესო ესეებისა და ვიდეორგოლების ავტორთა დაჯილდოება: 2021 წლის დეკემბერი.

მუხლი 5. კონკურსის ნომინაციები

1. კონკურსი ორი ნომინაციისაგან შედგება:

ა) სამეცნიერო-პოპულარული ესეების ნომინაცია;

ბ) სამეცნიერო-პოპულარული ვიდეორგოლების ნომინაცია.

2. თითოეულ ნომინაციაში გამოვლინდება სამი გამარჯვებული - I, II და III ადგილის მფლობელები.

3. თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან სხვადასხვა სახის სამახსოვრო საჩუქრებითა და ელექტრონული წიგნების სახლ „საბას“ 1-წლიანი მომსახურების პაკეტებით: I ადგილის მფლობელები – 8-წიგნიანი პაკეტით, II და III ადგილის მფლობელები – 4-წიგნიანი პაკეტებით. საუკეთესო ნაშრომების ათეულის დანარჩენი წარმომადგენლები კი – 1-წიგნიანი პაკეტებით.

4. თითოეულ ნომინაციაში საუკეთესო ნამუშევრის ათ ავტორსა (გამარჯვებულების ჩათვლით) და კონკურსის მონაწილეებს გადაეცემათ სერტიფიკატები.

5. დაგეგმილია საუკეთესო ესეების კრებულის გამოცემა.

მუხლი 6. საკონკურსო ნაშრომების მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები

1. საკონკურსო ნამუშევრები უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე;

2. ნომინაცია **საუკეთესო ესე** – საკონკურსო თემა უნდა ეხებოდეს ქართულ ანბანს (წარმოშობა, ისტორია, სამეცნიერო თეორიები, განვითარების საფეხურები და ა.შ.) და წარმოაჩენდეს ავტორის შემოქმედებით უნარს, ავლენდეს დამოუკიდებელ და ლოგიკურ აზროვნებას. მონაწილე უნდა იცავდეს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, წერდეს გამართულად.

3. საკონკურსო ესე უნდა იყოს აკრეფილი შრიფტით Sylfaen (შრიფტის ზომა – 11, ინტერვალი – 1.5) არაუმეტეს ორი ნაბეჭდი გვერდისა.

4. საკონკურსო ესეს ცალკე დოკუმენტად უნდა ერთვოდეს საკონკურსო განაცხადი, რომლის ფორმაც (**ფორმა N1**) გამოქვეყნდება კონკურსის პირობებთან ერთად.

5. ნომინაცია **საუკეთესო ვიდეორგოლი** – საკონკურსო თემა უნდა ეხებოდეს ქართულ ანბანს (წარმოშობა, ისტორია, სამეცნიერო თეორიები, განვითარების საფეხურები და ა.შ.) და წარმოაჩენდეს ავტორის შემოქმედებით უნარს, ავლენდეს დამოუკიდებელ და ლოგიკურ აზროვნებას. მონაწილე უნდა იცავდეს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, მეტყველებდეს გამართულად.

6. ვიდეორგოლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 წუთს.

7. საკონკურსო ვიდეორგოლს ცალკე დოკუმენტად უნდა ერთვოდეს საკონკურსო განაცხადი, რომლის ფორმაც (**ფორმა N1**) გამოქვეყნდება კონკურსის პირობებთან ერთად.

8. კონკურსის პირობების შესაბამისად წარმოდგენილი ნამუშევრები შესაფასებლად გადაეცემა კომისიას, რომელიც შედგება 4 წევრისაგან.

9. საკონკურსო ნამუშევრები შეფასდება ამავე პუნქტში მოცემული შემდეგი კრიტერიუმებით:

ა) შეფასების კრიტერიუმები სამეცნიერო-პოპულარული ესეებისთვის:

N	**კრიტერიუმი**	**შეფასება**
1	ნაშრომის ორიგინალურობა	მინიმუმ 1, მაქსიმუმ 5 ქულა
2	ნაშრომის შინაარსობრივი ინფორმაციულობა და საკითხის ცოდნის დონე	მინიმუმ 1, მაქსიმუმ 5 ქულა
3	გამართულად წერა	მინიმუმ 1, მაქსიმუმ 5 ქულა

ბ) შეფასების კრიტერიუმები სამეცნიერო-პოპულარული ვიდეორგოლებისათვის:

N	**კრიტერიუმი**	**შეფასება**
1	ნაშრომის ორიგინალურობა	მინიმუმ 1, მაქსიმუმ 5 ქულა
2	ნაშრომის შინაარსობრივი ინფორმაციულობა და საკითხის ცოდნის დონე	მინიმუმ 1, მაქსიმუმ 5 ქულა
3	გამართულად მეტყველება	მინიმუმ 1, მაქსიმუმ 5 ქულა

გ) თითოეული კრიტერიუმი ფასდება 5-ქულიანი სისტემით და ქულა განიმარტება შემდეგნაირად: 1 – შეუსაბამო; 2 – სუსტი; 3 – დამაკმაყოფილებელი; 4 – კარგი; 5 – გამორჩეული.

მუხლი 7. საკონკურსო განაცხადების შეფასება და დამატებითი რეგულაციები

1. კონკურსისათვის იქმნება კომისია ინსტიტუტის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით.

2. კომისიის წევრების ანაზღაურება განისაზღვრება კონკურსისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში, ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით.

3. საკონკურსო განაცხადები, რომლებიც არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, არ განიხილება.

4. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა.